სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 სექტემბერი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/175

ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორ როსტომ ბერიძისთვის
ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 და 62–ე მუხლების, „ბსუ-ს ემერიტუსის ფულადი ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის №108 დადგენილების, ,,2019 წლის აგვისტოში ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აგვისტოს №06-01/98 დადგენილების, ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის მასპინძლობის მენეჯმენტის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორის პოზიციაზე როსტომ ბერიძესთან გაფორმებული 2019 წლის 16 სექტემბრის №02-07/15 შრომითი ხელშეკრულების (ვადა - 2019 წლის 16 სექტემბრიდან 6 წელი - 2025 წლის 16 სექტემბრამდე), „2025 წლის სექტემბერში ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 08 სექტემბრის №06-01/77 დადგენილების, ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის მასპინძლობის მენეჯმენტის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორის პოზიციაზე როსტომ ბერიძესთან გაფორმებული 2025 წლის 16 სექტემბრის №01-45/58 შრომითი ხელშეკრულების (ვადა - 2025 წლის 16 სექტემბრიდან ექვსი წელი - 2031 წლის 16 სექტემბრამდე), ,,ბსუ-ს 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/125 დადგენილების, ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების (სხდომის ოქმი №25-05/08, 17.09.2026) და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 26 0001275367, 21.09.2026) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, ამავე ფაკულტეტის მასპინძლობის მენეჯმენტის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორ როსტომ ბერიძეს** მიენიჭოს ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური წოდება **2026 წლის 28 სექტემბრიდან** (2026-27 სასწავლო წლის დაწყება).

2. ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის მასპინძლობის მენეჯმენტის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორ როსტომ ბერიძესთან **2026 წლის 28 სექტემბრიდან, ვადაზე ადრე, შეწყდეს შრომითი ურთიერთობა** (ბსუ-ს პროფესორის შრომითი ხელშეკრულება №01-45/58, 16.09.2025 წ.).

3. წინამდებარე დადგენილების საფუძველზე, ბსუ-ს ემერიტუსის ყოველთვიური ფულადი ანაზღაურება (ბსუ-ს პროფესორის საშტატო ერთეულისათვის

28.09.2026 წლისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების 50%-ის ოდენობით) გაცემა დაიწყოს წინამდებარე დადგენილების მიღების მომდევნო თვიდან - 2026 წლის ოქტომბრიდან.

4. ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირი ვალდებულია შეასრულოს „ბსუ-ს ემერიტუსის ფულადი ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის №108 დადგენილების მოთხოვნები, მათ შორის:

ა) სისტემატური მონაწილეობა მიიღოს ბსუ-ს საზოგადოებრივ საქმიანობაში და შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის, განყოფილების, ლაბორატორიის აკადემიურ და სამეცნიერო აქტივობაში, რაც შეიძლება გამოიხატოს ანაზღაურების გარეშე სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობაში, სამეცნიერო საგრანტო პროექტების მომზადებაში ან/და ბსუ-ს სტუდენტებისათვის კონსულტაციების ჩატარებაში (ამ პირობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შესაბამის სემესტრში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ემერიტუსმა ფაკულტეტის საბჭოს უნდა წარუდგინოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ჯანმრთელობის ცნობა, რომელიც დაერთვება ემერიტუსის ყოველწლიურ ანგარიშს);

ბ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების ან ბსუ-ში შრომითი საქმიანობის დაწყების შემთხვევაში (გარდა საათობრივად ანაზღაურებადი პედაგოგიური საქმიანობისა), არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა აცნობოს ბსუ-ს რექტორს;

გ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, არაუგვიანეს 30 ივნისისა, შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ ამ წესის მოთხოვნების შესრულების შესახებ;

დ) საქმიანობის განხორციელების პროცესში იხელმძღვანელოს ბსუ-ს ინტერესებითა და ეთიკის კოდექსით.

5. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ბსუ-ს ვებგვერდზე განათავსოს ინფორმაცია **როსტომ ბერიძისთვის** ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების თაობაზე.

6. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

7. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და როსტომ ბერიძეს.

8. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **მამია ფაღავა**